ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


დ. აღმაშენებლის გამზირი №140



თბილისი

ოქტომბერი, 2017

საკვლევი ობიექტი, დ. აღმაშენებლის გამზირი №140, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში მდებარეობს.



დ. აღმაშენებლის, ყოფილი პლეხანოვის, ყოფილი მიხეილის პროსპექტი XIX საუკუნის განმავლობაში განაშენიანდა და ქ. თბილისის ერთ-ერთ ძირითად არტერიად იქცა.



XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის). ამ მიწების აქტიური ათვისება მხოლოდ 1818 წლიდან, გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღ-ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახლანდელი გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის), ვარდების (გორკის), არტოს და სხვა ბაღების სახით.

ვორონცოვის მოედანზე XIX საუკუნის II ნახევარში მეფისნაცვალის, მიხეილ ვორონცოვის ძეგლი იდგა, თუმცა, გამზირის სახელწოდება არა მას, არმედ მეფის ძმას, დიდმთავარ მიხეილ რომანოვს უკავშირდება. დიდმთავრის სახელობისა იყო აგრეთვე დ. უზნაძის (ყოფ. კამოს ქუჩა) და მისი სახელის მთავარანგელოზის წმ. მიხეილის (ე.წ. მიხაილოვის) საავადმყოფო.




ღირებული არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალბერტ ზალცმანის ბაროკოს ტიპის დიდი კათოლიკური ეკლესია (1870წ.); არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის

დაგეგმარებული სასტუმრო “ვეტცელი” (შემდგომ „რუსთავი“); XX ს-ის დასაწყისის მოდერნის სტილის კინოთეატრი “აპოლო” (შემდგომ „ოქტომბერი“); “სახალხო სახლი” მარჯანიშვილის ქუჩაზე, (ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახ. დრამატული თეატრი); ყოფილი რეალური სასწავლებელი უშ. ჩხეიძის ქუჩაზე (ამჟამად განათლების სამინისტრო) და სხვ. ამ არქიტექტურული ძეგლების უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია და საავტორო არქიტექტურის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენს.





საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.



„1817-18წწ. საქართველოში გერმანელმა კოლონისტებმა რამდენიმე დასახლება დაარსეს, რომელთა შორის ორი თბილისში იყო. ერთი მათგანი ე.წ. „თბილისის კოლონია“ კუკიის მიწაზე დაარსდა, რაც დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტსა და მის მიმდებარე უბნებს ემთხვევა. დ. აღმაშენებლის პროსპექტის წინაპარ, მიხეილის ქუჩის ორსავე მხარეს გერმანელმა კოლონისტებმა მცირე ზომის საცხოვრებელი სახლები, ხეხილის ბაღები და ვენახები გააშენეს. ამ ნარგავების მართკუთხა მოყვანილობამ მოგვიანებით როგორც ცნობილია, დ. აღმაშენებლის პროსპექტის და მისი მიმდებარე კვარტალების რეგულარული ხასიათი განსაზღვრა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ძველი კუკიის ვაკე რელიეფმაც. გერმანელებისავე გაშენებული იყო რამდენიმე საზოგადოებრივი ბაღი მიხეილის ქუჩის გასწვრივ. ყოფილი „თბილისის კოლონიის“ შემადგენელ ქუჩათა ქსელში თვალი დღესაც იოლად გამოარჩევს გერმანელი კოლონისტების ადრეულ ერთსართულიან სახლებს, გერმანული გავლენის მაუწყებელი მაღალი, ვიწრო, სამკუთხა ფრონტონიანი ფასადებით, ზოგჯერ კი, კედელთა ფახვერკული წყობითაც. ასეთი სახლების კვარტალის სიღრმეში განვითარებული ვიწრო, წაგრძელებული ფორმის ეზოები, რომლებისკენაც ისინი თბილისური ხის აივნებით არის მიმართული, გერმანელი კოლონისტების დროინდელ ბაღების ფრაგმენტებს ინახავს.





დ. აღმაშენებლის გამზირის აღნიშნულ მონაკვეთზე ერთმანეთის მიჯრით რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ფიქსირდება, მათ შორის დ. აღმაშენებლის გამზ. №138 განსაკუთრებით გამოირჩევა როგორც თავისი მასშტაბით, ასევე არქიტექტურული ღირებულებით. შენობა 1915 წელს აუშენებია მდიდარ სომეხ ვაჭარს მელიქ-დადაიანს როგორც საცხოვრებელი „შემოსავლიანი“ სახლი. შენობის არქიტექტორად ცნობილია ასევე სომხური წარმოშობის თბილისელი არქიტექტორი გ. ტერ-მიქელოვი (1874-1949), განსაკუთრებით სახელგანთქმული, როგორც რუსთაველზე მდებარე სასტუმრო „თბილისის“

ყოფილი მაჟესტიკის ავტორი. ტერ-მიქელოვის შენობაზე უკვე 1930-40-იან წლებში განხორციელდა სართულის დაშენება, რომელიც სავარაუდოდ არქიტექტორ კალაშნიკოვს ეკუთვნის, თუმცა, ვერცერთი პროექტის ორიგინალის მოძიება თბილისის არქივებში ვერ მოხერხდა.



დ. აღმაშენებლის გამზ. №140, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ქუჩის მხარეს კლასიცისტური სტილის ფასადით ხასიათდება, რომლის ცენტრალური ნაწილი ორიარუსიანი ხის თბილისური აივანითა და დამაგვირგვინებელი მეზონინითაა აქცენტირებული. სახლი დ. აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის პროცესის დროს საფუძვლიანად განახლდა და მასში გვერდზე არსებული თანამედროვე სასტუმრო „სითი ავენიუ“-ს ნაწილი განთავსდა.



ძეგლის ეზოში რამოდენიმე ნაგებობა დგას, მათ შორის ორი გრძივი ფლიგელი, ერთმანეთთან ზურგით არის მიდგმული, ამასთან ერთ ნაწილს ძეგლის სტატუსი გააჩნია, ხოლო მეორეს – არა. ერთი შეხედვით ფლიგელები იდენტურია და თანადროულიც. მსგავსია მათი ხის გალერეა-შუშაბანდების იერსახეც, თუმცა, ძეგლის ფლიგელს შედარებით მეტი ტიხრები ახასიათებს.





ორივე გრძივი ფლიგელი აღმაშენებლისკენ მიმართულ ნაწილს უერთდება, ამასთან, ძეგლის ნაწილი სამშენებლო ნაკერით არის გამიჯნული ძირითადი კორპუსისგან. ძეგლის სტატუსის მატარებელი ფლიგელი თბილისური ეზოსათვის დამახასიათებელი ხის შუშაბანდებით არის შემოსილი, რომელიც საკმარისად მარტივი ტიხრული ნახატით იქმნება. ამგვარი შუშაბანდები ძირითადად XIX ს-ისა და XX ს-ის მიჯნის ნიმუშია.



ფლიგელი ორსართულიანი დამხმარე ტიპის ნაგებობაა, რომლის სართულებს შორის კავშირი შიდა ხის კიბით ხდება. კიბე მარტივი ფორმის რიკულებით არის მოსაზღვრული და მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია.





ფლიგელის შიდა სივრცის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, თითქმის ყველა ოთახში ჩაშლილია ხის იატაკი და გადახურვა. სრულიად ამორტიზირებულია ხის კარ-ფანჯრების ალათები.





შენობას მთელ გაყოლებაზე გასდევს გრძივი ბზარები, რომელთა მიღმა ე.წ. რუსული აგურით ნაშენი კედლები მოსჩანს.





ზედა სართულებისგან განსხვავებით, შენობის სარდაფის სართულში ძველი აგურით და თლილი რიყის ქვით ნაშენი ნაწილებიც იკვეთება, რომლებიც შესაძლებელია სხვა, ადრე არსებული შენობის ნაშთია. ალაგ-ალაგ მოსჩანს თაღოვანი ნიშები და გასასვლელები, აგრეთვე საინტერესო აგურის წყობით ნაშენი კედლები. ასეთივე აგურის წყობის და თაღების ნაშთი იკვეთება გვერდზე არსებული არაძეგლი ფლიგელის ტორეცის კედელზეც.




სარდაფის სართულში მოხვედრა პრობლემურია, რადგანაც ის მთლიანად ამოვსებულია სამშენებლო ნაგვითა და მიწით.






1903 წლის გეგმაზე ამ ადგილზე ბაღების გარდა, ნაგებობა არ იკვეთება, სამხედრო დაწესებულებების სიახლოვის გამო, გადმოცემით, აქ საჯინიბოები უნდა ყოფილიყო. საფიქრალია, რომ ორივე დამხმარე ფლიგელის სარდაფის სართულები სწორედ ამ საჯინიბოების კვალს ინახავს. და თუკი ეს ვარაუდი მცდარია, მაინც მნიშვნელოვანია სარდაფების აგურისა და რიყის ქვით ნაშენი წყობის გამოვლენა და ადაპტაცია, რადგანაც მისი ღირებულება უტყუარია.

დასკვნა-რეკომენდაცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №140, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ეზოს მხარეს არსებული გრძივი ფლიგელის ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ამასთან, გამოიკვეთა, რომ შენბოა ორი სხვადასხვა ფენისგან შედგება და მეტად ღირებულია მისი სარდაფის სართული, რომელიც სავარაუდოდ ძველი ნაგებობის ნაშთია, ხოლო შენობის ორი, ზედა სართული საკმარისად მარტივ კონსტრუქციას წარმოადგენს ასევე ერთგვაროვანი შუშაბანდებით.

ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტში ნაგულისხმევია არსებულ ნაგებობაზე დამატებითი სხვენის სართულის განთავსება, რაც შეუძლებელია ძველი შენობის უკიდურესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო.

რეკონსტრუქციის განსახორციელებლად შესაძლებლად მივიჩნევ ფლიგელის ზედა, ორი სართულის დაშლას და კვლავაგებას არქიტექტურული ანაზომების მიხედვით იდენტური მასალით. ამასთან, შენობის შიდა სივრცის ადაპტაცია თანამედროვე კომფორტისა და სასტუმროს საჭიროებიდან გამომდინარე, სავსებით მისაღებია.

ფლიგელის დაშლა უნდა მოხდეს ფრთხილად, მეზობელი შენობის მდგრადობის გათვალისწინებით და სარდაფის სართულის შენარჩუნებით, რადგანაც სწორედ სარდაფში არსებული აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით ნაშენი კედლები და თაღოვანი გასასვლელები წარმოადგენს ძეგლის ძირითად ღირებულებას.

აუცილებელია სარდაფის ძველი კედლების კონსერვაცია და მათი ჩართვა ძეგლის ადაპტაციის პროექტში.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი